გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 78

2025 წლის 13 ივნისი
ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2024 წლის ივნისიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2024 წლის ივნისიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2024 წლის ივნისიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის 9 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

გორის მუნიციპალიტეტის მერიის

სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2024 წლის ივნისიდან განვლილი პერიოდის

ანგარიში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში ერთიანდება 4 განყოფილება სოციალური დაცვის განყოფილება- განყოფილების ხელმძღვანელი და 5 სპეციალისტი, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება- განყოფილების ხელმძღვანელი 5 სპეციალისტი, სოციალური და ჯანდაცვის ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება- განყოფილების ხელმძღვანელი და 1 სპეციალისტი და ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება - განყოფილების ხელმძღვანელი და 4 სპეციალისტი. სამსახურში დასაქმებულია 19 თანამშრომელი, სამსახურის უფროსი და სამსახურის უფროსის მოადგილე. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის და სამსახურის დებულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების, აგრეთვე თანამშრომლების უფლება-მოვალეობებისა კომპეტენციების შესაბამისად.

ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება ამუშვებს სოციალური დახმარების გაცემის წესით გათვალისწინებულ 7 მუხლს, რომელიც მოიცავს დიალეზით, ონკოლოდიური, იშვიათი დაავადებების, სქოლიოზით და სხვა დავადებების სამედიცინო სტაციონალურ და მედიკამენტოზურ მკურბნალობას. მოცემულ პერიოდში დამუშავებულია 5222 განცხადება, დადებითად გადაწყვეტილ 4368 საქმეზე გაცემულია 1037203ლარი

#NAME?	მუხლი	2024 წ. (01.06.-31.12.)		2025 წ. (01.01.-20.05.)		სულ 2024-2025
		განცხადება (რ-ბა)	თანხა	განცხადება (რ-ბა)	თანხა	დადებითად დასრულებული (ბრძანება)
06 01 04	ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება	624	247104	605	240118	487222
06 01 03	სოც.დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	971	348959	949	341052	690 011
06 01 05	უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა	225	61238	306	83282	144520

06 01 02	იშვიათი დაავადების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ, ცერებრალური დამბლით,აუტიზმით,დაუნის სინდრომით, კაზაბახ-მერიტის სინდრომით და ა.შ. დაავადებული ადამიანების სამედიცინო და სოციალური დახმარება	261	166159	278	176982	343141
06 01 06	დიალიზზე მყოფი ადამიანების სოციალური დახმარება	50	25000	47	23500	48500
06 01 07	- სქოლიოზით დაავადებული ბენეფიციარების სამკურნალო-სარეაბილიტაციო დახმარება	28	7441	24	6379	13820
		2159	855901	2209	871313	1037203

ასევე მოგახსენებთ, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2025 წლის 14 მარტს მიიღო № 7დადგენილება ,,გორის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ". აღნიშნულ პროგრამას ჯანდაცვის განყოფილება განახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობისათვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობით. 2025 წელს პროგრამა ითვალისწინებს პილოტურ რეჟიმში 5-10 ბენეფიციარისათვის პერსონალური ასისტენტის სერვისის დაფინანსებას. დღეის მგომარეობით მიღებულია 16 განცხადება, შშმ ბენეფიციარები შეფასებისათვის გადამისამართებულნი არიან სამედიცინო დაწესებულებაში. შეფასების შემდგომ მოხდება კატეგორიების მიხედვით მათი შერჩევა და პროგრამაში ჩართვა.

სოციალური დაცვის განყოფილება-მუშაობს სოციალური დახმარების გაცემის წესით გათვალისწინებულ 16 მუხლზე, რომელიც მოიცავს და უზრუნველყობს როგორც სოციალურდ დაუცველი, ისე სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური უზრუნველყოფას. საანგარიშო პერიოდში დამუშავებულია 2605 განცხადება, დადებითად გადაწყვეტილ 1767 საქმეზე გაცემულია 1339722 ლარი.

2024 წლის ივნისიდან 2025 წლის მაისის ჩათვლით

პრ. მუხლის სახელწოდება	რ-ბა2024	თანხა	რ-ბა2025	თანხა	რ-ბა	თანხა
მუხლი 8. სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება	66	42000	100	54500	166	96500
მუხლი 9. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	46	18400	38	15200	84	33600
მუხლი 10. დედ-მამით ობოლი ბავშვებისა და იმ ბავშვების დახმარება, რომელთა მშობლებსაც შეზღუდული აქვთ მშობლის უფლება-მოვალეობები	2	2000	23	23000	25	25000
მუხლი 11. ხანძრებისა (გარდა განზრახ გამოწვეული ხანძრისა) და ბუნებრივი მოვლენებით საცხოვრებელ ბინებზე მიყენებული ზარალისათვის ოჯახისადმი დახმარება	9	31126	8	35200	17	66 326
მუხლი 12. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარება	2	2000	35	28400	37	30400
მუხლი 13. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	130	60700	177	178700	307	239400
მუხლი 14. ასი და მეტი წლის ასაკის უხუცეს დღეგრძელთა დახმარება	2	2000	3	3000	5	5000
მუხლი 15. რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების დახმარება თანადაფინანსებით			6	2600	6	2600
მუხლი 16. მარტოხელა მშობლის დახმარება	37	18500	158	79000	195	97500
მუხლი 17. ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისათვის (ბენეფიციარების) დახმარების გაწევა	19	6650	20	7700	39	14350
მუხლი 18. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის	37	29440	174	388704	211	418144

ქირით უზრუნველყოფის ერთჯერადი ფულადი დახმარება						
მუხლი 19. მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯობა ICD H-90.6; H-91.9) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება	62	20350	297	98200	359	118550
მუხლი 20. 2022 წლის 1 იანვრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების სოციალური ფულადი დახმარება	1	300	0	0	1	300
მუხლი 24. სოციალურად დაუცველი ოჯახების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსების თანამონაწილეობის წილის დაფინანსება	2	80	0	0	2	80
მუხლი 25. ერთჯერადი სოციალური (ფულადი)დახმარება	124	67200	313	124772	313	191972
სულ	539	300746	1352	1038976	1767	1339722

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება ახდენს სოციალური დახმარების გაცემის წესის მუხლი 18. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, მიუსაფარი, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფით მოსარგებლე ბენეფიციართა მონიტორინგს, საცხოვრებელ ადგილზე. საანგარიშო პერიოდში მოხდა 58 ოჯახის მონიტორინგი. მონიტორინგისას გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრილი იქნა გორის მუნიციპალიტეტის მერიის შესამასი ადმინისტრაციული ერთეულის სწარომადგენლების მიერ. მონიტორინგი ამჟამადაც გრძელდება.

სოციალური და ჯანდაცვის ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება უზრუნველყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრისის გარეშე დარჩენილი

მოსახლეობის შესახებ ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას და საინფორმაციო ბაზის შექმნას მოცემულ პერიოდში აღრიცხვაზე იმყოფება უსახლკაროდ დარჩენილი 185 ოჯახი. აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მერიის მიერ შეძენილი იქნა და 5 ოჯახს გადაეცა სოციალური საცხოვრებელი კოტეჯი; გორის მუნიციპალიტეტის მერიას გააჩნია 3 სოციალური საცხოვრისი 101 ბენეფიციარზე: ორი 2 - სართულიანი დროებითი საცხოხრისი 14 ოჯახზე; ერთი 5 - სართულიანი დროებითი საცხოვრისი 87 ოჯახზე; განყოფილება ზედამხედველობას უწევს მერიის მხრიდან თანადაფინანსებული პროექტების მიმდინარეობას. საანგარიშო პერიოდში **სოციალური პრექტების თანადაფინანსება შეადგინაც 965 000 ლარი, ისარგებლა/ სარგებლობს 5233 ბენეფიციარი. პროგრამაში ჩართულია და დაფინანსდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი 33 პროექტი;**

2024წ -2025 წ დაფინანსებული პროექტები.

	2024წელი	2025წელი
"კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი"	3 პროექტი	2 პროექტი
საზოგადოება "ბილიკი"	2 პროექტი	2 პროექტი
გორის მუნიციპალიტეტისკრის სათემო ასოციაცია "ბეთლემი"	2 პროექტი	1 პროექტი
ა.(ა)ი.პ. საქველმოქმედო ფონდი "საქართველოს კარიტასი"	2 პროექტი	1პროექტი
"საქართველოს სამარიტელთა კავშირი"	2პროექტი	2 პროექტი
"საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება"	1 პროექტი	1 პროექტი
ასოციაცია "თანხმობა"	1პროექტი	1 პროექტი
ა(ა)ი.პ "შ.შ.მ. პირთა და ბავშვთა სარეაბილიტაციო სპრტულ გამაჯანსაღებელი საცხენოსნო კლუბი "კენტავრი"	1 პროექტი	1 პროექტი
GCRT "წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი"	1პროექტი	

ბავშვთა ადრეული განვითარებიას რეაბილიტაცია აბილიტაციის ცენტრო„აიქიუ“	1პროექტი	1 პროექტი
ა(ა)იპ "მხარდაჭერის სახლი"	1პროექტი	1 პროექტი
"ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების დასაქმებისა და ბიზნესის ხელშეწყობის ცენტრი"	1 პროექტი	
„საქართველოს უსინათლოთა კავშირი“	1 პროექტი	
წმ. იოანე მოწყალის სახეწლობის სათნოების სახლი	1 პროექტი	

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023წ 8 დეკემბრის N218 განკარგულებით დამტკიცებული გორის მუნიციპალიტეტის სოციალური პროექტების თანადაფინანსების წესის თანახმად, განყოფილებამ საანგარიშო პერიოდში მოახდინა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმდინარე პროექტების გეგმიური მონიტორინგი. მონიტორინგის პერიოდში მოხდა როგორც პროექტით გათვალისწინებული აქტივობების შემოწმება, ისე პროექტში მონაწილე ბენეფიციარებთან გასაუბრება. საერთო ჯამში, მონიტორინგით დადებითად შეფასდა პროექტებით გათვალისწინებული და განხორციელებული მომსახურეობა. აღნიშნული პროექტები საანგარიშო პერიოდში, ბიუჯეტიდან დაფინანსებულია 506951 ლარით.

განყოფილება კოორდინაციას უწევს საზოგადოებრეივი ჯანდაცვის დაწესებულებას, რომლის მომსახურება 2024 წ - 319 800 ლარით დაფინანსდა ხოლო 2025წ გათვალისწინებულია 356500ლარი. ორგანიზაციის მიერ ჩატარდა/ტარდება: მოსახლეობის; სკოლების; სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების; მუნიციპალური ორგანიზაციების; სამედიცინო, სანიტარულ - ჰიგიენური, სადეზინფექციო, C-ჰეპატიტზე, აივ/ინფექციაზე და ტუბერკულიოზზე სქრინიონგი და სამედიცინო მომსახურება; გორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში სულ სასწრაფო შეტყობინება შემოსულია 2495 შემთხვევაზე. აქედან ინფექციურ დაავადებებზე 1119, ეპიდკვლევა ჩატარდა 159 შემთხვევაში. (მ.შ ენტეროჰემორაგიული ეშერიხიოზი 5 , ბრუცელოზი 2, ბორელიოზი 6, ორსულთა სიფილისი 4, ლეპტოსპიროზი 9, სალმონელოზი 13, მწვავე B ჰეპატიტი 9, პოქსვირუსი 1, ნოზოკომიური (საავადმყოფოს შიდა) ინფექციები 58. საანგარიშო პერიოდში მართვადი ინფექციებიდან ყივანახველას 21, წითელას 5 და ყბაყურას 3 შემთხვევა დაფიქსირდა (უმეტესობა იყო აუცრელი ან აცრის სტატუსი უცნობი იყო). კვლავ მომატებული იყო ჩუტყვავილას შემთხვევები ორგანიზებულ ბავშვთა დაწესებულებებში (201 შემთხვევა).
ტუბ კაბინეტიდან შემოსულია სასწრაფო შეტყობინება 21 შემთხვევაზე. სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული 1 ტუბ პაციენტის და 1 მეთვალყურეობიდან დაკარგული ტუბ პაციენტის ჩართვა მოხდა მკურნალობაში. საანგარიშო პერიოდში ცხოველთა მიერ დაკბენა - დადორბლის 1376 შემთხვევა

დაფიქსირდა. სრული კურსი დაენიშნა 530 პირს, პირობითი - 846-ს, რისთვისაც ანტირაბიულ კაბინეტში სულ გაიხარჯა 4284 დოზა ანტირაბიული ვაქცინა და 55 დოზა ანტირაბიული იმუნოგლობულინი. ინფორმაცია ცხოველთა დაკბენა-დადორბვლის შესახებ ეცნობა სურსათის უვნებლობის ეროვნულ სააგენტოს. ადამიანებში ცოფის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

სულ საანგარიშო პერიოდში C ჰეპატიტზე, აივ ინფექციასა/შიდსსა და ტუბერკულოზზე. სკრინინგი ჩაუტარდა 6389 (აქედან სჯდ ცენტრში-819), პირს, დადებითი იყო 48 (ახალი შემთხვევა).

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა

ხორციელდებოდა პროფილაქტიკური აცრები ეროვნული კალენდრის მიხედვით. 2024 წლის ივლისის თვეში ს/ამბულატორიებში: ხიდისთავის, ატენის, ვარიანის, ძევერის, შინდისის, ხელთუბნის, შ.ჰ.ს. ,,მედიქალ ცენტრში'' და ,,გორმედში '' განხორციელდა ,,დამხმარე ზედამხედველობა ", რომლის ფარგლებშიც გამოვლინდა 2017 და 2021 წელს დაბადებული აუცრელი და არასრულად აცრილი ბავშვთა კონტიგენტი, თითოეული ბავშვისთვის შემუშავდა ინდივიდუალური აცრის სქემა, რომელიც გადაეცა ამცრელ ამბულატორიას და სოფლის ამბულატორიას შემდგომი რეაგირების მიზნით.

2024 წლის 1 ოქტომბრიდან გრიპის სეზონის დადგომისთანავე გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაუტარდა 1723 მოქალაქეს, აქედან სჯდ ცენტრში განხორციელდა 414 პირის აცრა.

პროფილაქტიკური სამსახურის მიერ

მოხდა სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესწავლა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სილამაზისა და ესთეტიკის სალონებში. სულ ჩატარდა 28-ჯერ სასკოლო, 34-ჯერ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების და 31-ჯერ სილამაზის სალონის მონიტორინგი (48 შემთხვევაში მიეცათ გონივრული ვადა დარღვევების გამოსასწორებლად).

,,თამბაქოს კანონის'' აღსრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგი ჩაუტარდა 205 ობიექტს. სისტემატიურად ხდებოდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო სახის შეხვედრები მოსახლეობასთან.

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო

დაფინანსების წყაროს წარმოადგენს შიდა ქართლში შემავალი ოთხივე მუნიციპალიტეტი.

2024 - 2025 წლებში მხოლოდ გორის მუნიციპალიტეტის მერიისგან გამოყოფილი სუბსიდია შეადგენდა **2024** წელს 585300 ლარს ხოლო **2025** წელს 585000 ლარს, საიდანაც ხელფასებზე დაიხარჯა 375886 და 137824 ლარი, სულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა **52** ადამიანს, ხოლო დანარჩენი თანხა დაიხარჯა სააგენტოს სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის.

2024 წლის 1 ივნისიდან და 2025 წლის 20 მაისის ჩათ.

2024 2025 წელი	შემოყვანილი ცხოველების რაოდენობა	სტერილიზაცია-კასტრაცია	მკურნალობა	სიკვდილიანობა	გაჩუქება	ევთანაზია

გორი	1569	1121	195	116	88	49

ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების საქმიანობა ეფუძნება საფრთხის პრევენციასა და ადრეული დახმარების პრინციპს.განყოფილების ეფექტური მუშაობა შეუძლებელია როგორც ორგანიზაციების, ასევე საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობის გარეშე. მიმართვის საფუძველზე, განყოფილენბამ შეისწავლა 81 ბავშვიანი ოჯახი. 73 შემთხვევაში მომართვა ძირითადად შეეხებოდა ერთჯერადი ფინანსური დახმარებას, საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას, გარდა მათი მოთხოვნისა, ადილზე მოხდა ამ 73 ოჯახის კიდევ სხვა რისკების და საჭიროების შესასწავლა, მათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება და გარკვეული მხარდაჭერის აღმოჩენა. გარდა ამ ოჯახებისა საანგარიშო პერიოდში განყოფილების სოციალურმა მუშაკებმა იმუშავეს 8 საქმეზე, სამი საქმე დაიხურა, 5 საქმეზე გრძელდება მუშაობა ოჯახის გაძლიერების მიმართულებით. გარდა პრევენციაში ჩართული ბავშვებისა, მუნიციპალიტეტში საქმის გადმომისამართება ხდება, სახელმწიფო დაწესებულებებიდან მაგალითად: სსიპ დანაშაულის პრევენციის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულმა სააგენტოს მომართვის საფუძველზე, განყოფილებამ შისწავლა პრევენციული ღონისძიება გაატარა ორ საქმეზე.სახალხო დამცველის აპარატის მომართვის ფარგლებში შესწავლილია სამი ოჯახის საჭიროება, აქედან ერთ ოჯახთან მუშაობა გაგრძელდება. საანგარიშო პერიოდში მოხდა საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტიდან სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების შესახებ (სულ 61 ბავშვი) გადმოგზავნილი დაშიფრული ინფორმაციის დამუშავება, ოჯახების შესწავლა, შედეგები ეცნობა დეპარტამენტს. მომართვა ხორციელდება აგრეთვე სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ცენტრიდან; შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტიდან, ასევე მშობლების პირადი განცხადებით მომართვის სიხშირე მნიშვნელოვნად გაზრდილია.საჭიროებიდან გამომდინარე, ბავშვების და მშობლების ნაწილი ფსიქოლიგისაგან იღებენ ერთჯერად კონსულტაციას, მათთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო ვისაც სჭირდება ხანგრძლივი თერაპიული მომსახურება, აგრძელებენ სისტემატიურ სიარულს ფსიქოთერაპიულ სესიებზე, რაც მოიცავს კვირაში ერთხელ შეხვედრას. ფსიქიკური განვითარების დარღვევების შემთხვევაში კონსულტაცია უტარდება და გადამისამართება ხდება შესაბამის მუნიციპალურ და ჯანდაცვის პროგრამებში. ცალკეულ შემთხვევებში,მშობლების მხრიდან მომართვა ხორციელდება ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორიცაა: გარდატეხის ასაკის თავისებურებები, განვითარების ეტაპების დაყოვნება, მეტყველების შეფერხება, კოგნიტური უნარების განვითარების სიმწირე, დანაკარგით გამოწვეული ტრამვა, დაბალი თვითშეფასება, ქრონიკული დაავადებებიდან გამოწვეული სტრესი, სირთულეები სკოლაში ან საბავშვო ბაღში ადაპტაციის პროცესში, ადრეული განვითარების შეფერხება, დასწავლის უნარის დარღვევა, სოციალური უნარების განვითარების შეფერხება, სხვადასხვა დაუზუსტებელი ქცევითი დარღვევები, ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომი, სელექციური მუტიზმი და სხვა სირთულეები კომუნიკაციის პროცესში და სოციალური ურთიერთობების ნაკლებობა და სხვა დაავადებების შედეგად განვითარებული ფსიქოლოგიური და ქცევითი პრობლემები. ფსიქოლ თერაპიულ მომსახურებას იღებს 6 ბავშვი (5 ოჯახი).

განყოფილება ჩართული იყო მერიის მიერ შეძენილ საახალწლო და სააღდგომო პროდუქტების, აგრეთვე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ გადმოცემულ 200 სასაჩუქრე ყუთის გადანაწილების პროცესში. ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ერთად აღნიშნული სასაჩუქრე პაკეტები გადაეცათ როგორც მოწყვლად ბავშვიან ოჯახებს, ისე სხვა დანარჩენ კატეგორიას, დევნილთა ჩასახლებაში არსებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას(მარტოხელა მშობლებს, სოციალურად დაუცველებს, დედმამით ობოლ ბავშვებს, რეინტეგრირებულ ოჯახებს, მრავალშვილიან ოჯახებს, ომის ვეტერანებს, შშმპირებს და სხვა) . მსოფლიო ბავშვთა დღესთან დაკავშირებით განხორციელდა აქტივობა, სოფელ ერგნეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად. მოსწავლეებს აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, მერიისგან მხატვრული ლიტერატურა და საინფორმაციო ბროშურები გადაეცათ. ბავშვთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაიმართა სახალისო ვიქტორინა.
საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიზნით, განყოფილების მხრიდან ტარდება არაერთი აქტივობა, მზადდება საინფორმაციო ბუკლეტები და ტრიპლეტები.